პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 100 (13221) | ხუთშაბათი, 29 აპრილი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

დიდება დიდ საბჭოთა ხალხს

— კომუნიზმის სახელოვან მშენებელს, ქვეყნად მშვიდობისა და ყველა ადამიანის გედნიერებისათვის მამაც მებრძოლს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებიდან

მეჩაიეები დიდი ლაშქრობის წინ

საქართველოს სოფლის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად შემოკრებებზე, თავდადებით შრომობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის დიდ მიზანდასახულობათა განხორციელებისათვის.

ამ საერთო-სახალხო ბრძოლის ავანგარდში არიან მეჩაიეებიც. ჩაის პლანტაციების მშრომელებმა პირველებმა რეს-პუბლიკის სოფლის მეურნეობაში გადალახეს შვიდწლედის ბოლო წლის მიჯნა. ჩვენმა მეჩაიეებმა ჯერ კიდევ 1963 წელს მოკრიფეს 186 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და ამით ორი წლით ადრე მიაღწიეს შვიდწლედის დასახულ ზღუდეს.

შრომითი გამარჯვებისათვის რესპუბლიკის მეჩაიეებმა არაერთხელ დაიმსახურეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გულითადი მადლიერებები.

ახლა, შვიდწლედის დამამთავრებელ წელს ჩაის პლანტაციების მშრომელები ისწრაფვიან მისცენ ჩვენს ქვეყანას რაც შეიძლება მეტი სურნელოვანი ქართული ჩაი — მოკრიფონ 185 ათასი ტონა „მწვანე ოქრო".

დადგა ჩაის ფრონტზე დიდი შეტევის პერიოდი. ფოთლის უხვი მოსავალი თავისთავად როდი მოვა. ამ ამოცანის გადაჭრა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პარტიის რაიონული კომიტეტების, რაიისბჭოთა აღმასკომების, სოფლის მეურნეობის სამმართველოების მოკნილ მუშაობაზე.

დიდი ხანია მომწიფდა ჩაის კრეფის პროცესის მექანიზაციის პრობლემა. მიუხედავად იმისა, რომ მისი გადაწყვეტა დიდ სიძნელეებს წარმოადგენდა და საუკუნეების მანძილზე დაუძლეველ პრობლემად იყო მიჩნეული, ქართველმა მეცნიერებმა, პრაქტიკოსებმა მსოფლიოში პირველებმა ჩაუყარეს საფუძველი ჩაის ფოთლის მექანიკური კრეფის კეთილშობილურ საქმეს.

ვინ ჩამოთვლის ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანის სიკეთეს. დღეში ერთი მანქანით იკრიფება 1.500-2.000 კილოგრამი და ზოგჯერ უფრო მეტი ფოთოლი. ეს მაშინ, როცა ხელით ერთი კაცი ძლივს კრეფს 40-100 კილოგრამ ფოთოლს. მანქანის კრეფის საქმეში გამოცდილება აქვს ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივს. აქ პლანტაციებში საკრეფი მანქანის გამოჩენამ მნიშვნელოვანი დიდად შეამცირა, მძიმე შრომას მანქანა ცვლის. გარდა ამისა, ახლა ერთი ტონა ჩაის ფოთლის მიღება უჯდებათ 200 მანეთი, მაშინ როცა მანქანის გამოუყენებლად 318 მანეთი უჯდებოდათ.

ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანის გამოყენების საქმეში დიდი გამოცდილება აქვთ მახარაძის რაიონის ლანთურის საბჭოთა მეურნეობას და აგრეთვე სხვა მეურნეობებს.

შვიდწლედის დამამთავრებელ წელს ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფა უფრო დიდ ადგილს დაიკავებს. ნაცვლად შარშანდელი 179-ისა წელს რესპუბლიკაში იმუშავებს 500-ზე მეტი მანქანა „საქართველო". ეს კი დიდ პასუხისგებლობას აკისრებს მეჩაიეობის რაიონების ხელმძღვანელებს. მარტის პლენუმმა მეტად მწვავედ დააყენა არსებული ტექნიკის ნაყოფიერად გამოყენებისა და სათუთად შენახვის საკითხი. ამიტომ საჭიროა გავაძლიერთ სოფლის მეურნეობის მექანიზატორების მატერიალური დაინტერესება, გავაუმჯობესოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მომარაგება სათადარიგო ნაწილებითა და მასალებით, უნდა შეეკმნათ ჩაის მექანიზებულად მოვლა-მოყვანისა და კრეფის ოსტატ მექანიზატორთა კადრები. ეს საჭიროა იმიტომ, რომ ფართოდდება ჩაის წარმოებაში მანქანური ტექნიკის დანერგვის მასშტაბი.

მაგრამ მეჩაიეობაში მთავარი ძალა მაინც მეჩაიეა. ჯერჯერობით ამ საქმეში გადამწყვეტია ხელით კრეფა. ამიტომ საჭიროა პარტიის რაიონული კომიტეტები, რაიისბჭოების აღმასკომები, სოფლის მეურნეობის სამმართველოები სისტემატურად ზრუნავდნენ მეჩაიეებზე, უქმნიდნენ მათ მუშაობის ნორმალურ პირობებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა განსაკუთრებული უურადღება მიაქცია სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის სისტემის გაუმჯობესებას. ახლა სოფლის მეურნეობის მშრომელები მატერიალურად დაინტერესებული იქნებიან თავიანთი შრომის შედეგებით. ეს კი მათ უნერგავს რწმენას მუშაობაში, ამაღლებს მათს დინტერესებას საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებით, წარმოების გაფართოებით.

პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ასეთი დიდ ღონისძიებებს ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეები სასახელო საქმეებით უპასუხებენ.

გუშინ გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნდა მახარაძეთ მეჩაიეთა თოოსნობის შესახებ წერილი. რომელშიც ნათქვამია: **მაის-ივნისში შეასრულოთ ჩაის ფოთლის კრეფისა და მზა პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმის 60 პროცენტი. ამასთან მკაცრად დაკვირვათ მოკრეფილი ჩაის ხარისხი. მრეწველობას მივცეთ მაქსიმალურ საშუალებანი ნედლეულ. მახარაძელთა ეს თოოსნობა მისაბაძია. ეჭვი არ არის, რომ ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეები მახარაძელთა ამ პატრიოტულ თოოსნობას მხარს დაუჭერენ და სასახელოდ შეასრულებენ სამშობლოსადმი მიცემულ სიტყვას.**

უკვე ახლოვდება ჩაის ფოთლის კრეფა. იგი აგვირგვინებს მეჩაიეთა მეცადინეობას, აჯამებს მათი ბეჯითი, დაძაბული შრომის შედეგებს. არ უნდა განმეორდეს შარშანდელი ცუდი ფაქტები. მაგალითად, ლანჩხუთის რაიონმა 9.976 ტონა ფოთლიდან პირველი ხარისხის ნედლეულის მხოლოდ 6.710 ტონა მოკრიფა, წალენჯიხის რაიონში 11.608 ტონა ფოთოლი მოკრიფეს, აქედან პირველი ხარისხის 7.682 ტონა იყო. ამ მხრივ სახარბიელო მდგომარეობა არც ზუგდიდისა და სხვა რაიონებში იყო.

განა ხარისხოვანი ფოთლის კრეფაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც ახლაც გალის რაიონის ჭუბურხინჯის, ნაძაგეგის, ღუმურიშის, ოჩამჩირის რაიონის ხიბის ლენინის სახელობის და ოორის კოლმეურნეობებში პლანტაციები ეკალ-ბარდებით არის დაფარული?!

ასეთი ფაქტები რომ აღიკვეთოს, საჭიროა „მწვანე ოქროს" კრეფის დაწყების პირველი დღიდანვე განსაკუთრებული უურადღება მივაქციოთ ხარისხს. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ მაისი და ივნისი გადამწყვეტია მაღალხარისხოვანი ნედლეულის მიღების საქმეში.

საჭიროა ამთავითვე სრულ წესრიგში მოვიყვანოთ პლანტაციებში მისასვლელი გზები, ხიდები, ფარდულები, მოვამზადოთ საკრეფი კალათები, სატრანსპორტო უუთები. უნდა ვიზრუნოთ აგრეთვე მეჩაიეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, წესრიგში მოვიყვანოთ საბავშვო ბაღები, ბაღები, საველე სასადილოები, სწორად განვახორციელოთ მეჩაიეთა მატერიალური წახალისების წესი.

ჩაის ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესება ტექნოლოგია და ფაბრიკების ყველა მუშაკთა დიდი საზრუნავია. ისინი მოვალენი არიან საათის კარგი მექანიზმივით მოაწყონ ფაბრიკების მუშაობა.

ამ მხრივ წელს კარგად მოემზადნენ ბათუმის, ხელვაჩაურის, გურიანთის, მაღალეწერის, წყალტუბოს, წალენჯიხის, გალის, ცხაკაიას და სხვა ფაბრიკები. მაგრამ არის სიგნალები, რომ ცალკეული ჩაის ფაბრიკები ცუდად ემზადებიან ფოთლის მიღებისა და გადამუშავებისათვის. მაგალითად, ჩოხატაურის ჩაის ფაბრიკაში ჭიანურდება საქვაბე მეურნეობის მოწყობა, ფოთლის ნედლეულის სახმობი ღუმელები შეეთბას მოითხოვს. საყვედურის ღირსნი არიან აგრეთვე გალის, ოჩამჩირის, ზუგდიდის და სხვა რაიონების ჩაის ფაბრიკები.

რესპუბლიკის ჩაის ფაბრიკებს აქვთ პირველხარისხოვანი თანამედროვე ტექნიკა. ამ ტექნიკის სრულად გამოყენებამ, ყოველი ფაბრიკის შეუფერხებელი მუშაობა ჩაის მრეწველობის მუშაკთა სახელის საქმეა.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის მზადლიერი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადწყვეტილებათა წარმატებით განხორციელება მოითხოვს ყველა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციის მუშაობის ძირეულ გაუმჯობესებას. მათს საძიებლებაში, ადნიშნულია ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადწყვეტილებაში, მთავარი და განმსაზღვრელია ყოველდღიური ზრუნვა ადამიანისათვის, კოლეუურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განვითარებისათვის. სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. მათი თანმიმდევრულების შემცირებისა და წარმოების ყველა დარგის რენტაბელობის უზრუნველყოფისათვის.

ამხანაგო მეჩაიეებო! საქმით ვუპასუხებთ მშობლიური კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის ყოველდღიურ ზრუნვას. მოვიცეთ სამშობლოს 185 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი და ამით ღირსეული წვლილი შევიტანოთ კომუნიზმის დიდ მშენებლობაში.

ვინ იქნება მედროშე?

საამაისო ვახტაზე

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ფერომენადნობთა ქარხნის კოლექტივი მხურვალედ გამოეხმაურა ნოვატორ გ. ჩადუნელის თაოსნობას და იბრძვის ახალი გამარჯვებით შეხვდეს პირველ მაისს. შეჯიბრებაში ჩაება ათეულობით კომუნისტური შრომის ბრიგადა.

საპირველმაისო მოწოდებების საპასუხოდ მუშაობა გააძლიერეს პირველი საამქროს მეექვსე, მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე ღუმელებმა. ისინი გეგმის გადამეტებით იძლევიან ლიფონს, ზოგავენ ელექტროენერგიას, მასალებს. მედროშის უფლების მოპოვებისათვის შეუპოვრად იბრძვიან კომუნისტური შრომის ბრიგადები, რომლებსაც ლ. კობახიძე, გ. ნანიტაშვილი, გ. გაჩეჩილაძე, ვ. ყანჩაველი, ბ. შავიძე, მ. კაციტაძე, ტ. კუტალაძე ხელმძღვანელობენ.

მეტალურგთა თავდადება

◆

ბოლის „შავი ოქრო"

ტყიბული. (საკ. კორ.). საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების სათავეშია ორჯონიკიძის სახელობის შახტის კოლექტივი. ამ დღეებში აქ ყველა სიფაქიზლოტაციო უბანი წარმატებით ასრულებს ქვანახშირის მოპოვების საგეგეგმისო დავალებას.

ორჯონიკიძელებმა მორიგი გამარჯვება მოიპოვეს. 19 აპრილს, პირველ ცვლაში, გადაეზე 11 ტონით ადრე უპატაკეს „შავი ოქროს" მოპოვებას პირველი ოთხი თვის სახელმწიფო გეგმის შესრულება.

ახლა ყველა ცვლა და ბრიგადა სათობს მაისის ფიცარიშია ძალეა.

ბოლის გადამეტებით

თელავი. (საკ. კორ.). თელავის ყველისა და კარაქის მთავარი ქარხნის კოლექტივმა პირველი კვარტალის დავალება 199.6 პროცენტით შეასრულა. გეგმის გადამეტებით 38.800 მანეთის პროდუქცია გამოუშვა. მოგებამ 19.300 მანეთი გადაამტა, გეგმა კი 11 ათას მანეთზე მეტს არ ითვალისწინებდა.

ქარხნის კოლექტივმა, რომელიც წინასამაისო სოცრალისტურ შეჯიბრებაში ჩაება, 6 თვის დავალების განადღება პირველი მაისისათვის იკისრა.

მადანი მაისის ანგარიშში

ჭიათურა. (საკ. კორ.). პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებას საწარმოო გამარჯვებებით უპასუხებენ ჭიათურელი მადაროელები.

ორჯონიკიძის სახელობის მადაროს კოლექტივმა ერთი კვირით ადრე შეასრულა სახალხონლო მარგანეცის დამზადების ოთხი თვის დავალება და მაისის ანგარიშში სამშობლოს ათასობით ტონა მაღალხარისხოვანი წადნი მისცა.

მაღალნაყოფიერად შრომობენ ავაკი და მიხეილ კენჭოშვილების საწარმოო უბნებისა და პეროკსიდების გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივები.

საპირველმაისო შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მადაროელები ბ. კილაძე, ლ. გიორგიაშვილი, ს. გურული, ბ. მეცხოვრიშვილი, ს. თამბაგარი, ა. კუპატაძე.

მომზადებული ხვლეგბიან

წყალტუბო. (საკ. კორ.). წყალტუბოს ჩაის ფაბრიკა (დირექტორი დ. სარიშვილი) ყოველმხრივ მომზადებული ხვდება ჩაის მწკავე ფოთლის კრეფისა და გადამუშავების სეზონს.

დამხარისხებელი საამქროს რეკონსტრუქციის შედეგად საწარმოო ფართობი 600 კვადრატული მეტრით გადიდდა. ხელით შრომის შესაცვლელად აქ დადგეს ჩაის დამხარისხებელი კომბაინი. მოიწყო ჩაის საღონობი მანქანებისათვის ბაერის მიმშოდებელი მილგაყვანილობის თბოიზოლაცია. რესტავრირებულია ორთქლის ქვაბი. კაპიტალური რემონტი გაუკეთდა „მანქანა-დანადგარებს.

წელს ფაბრიკა მიიღებს და გადაამუშავებს 2.400 ტონა ნედლეულს, 192 ტონით მეტს გიდრე გასულ წელს.

◆

ბოლის „შავი ოქრო"

ტყიბული. (საკ. კორ.). საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების სათავეშია ორჯონიკიძის სახელობის შახტის კოლექტივი. ამ დღეებში აქ ყველა სიფაქიზლოტაციო უბანი წარმატებით ასრულებს ქვანახშირის მოპოვების საგეგეგმისო დავალებას.

ორჯონიკიძელებმა მორიგი გამარჯვება მოიპოვეს. 19 აპრილს, პირველ ცვლაში, გადაეზე 11 ტონით ადრე უპატაკეს „შავი ოქროს" მოპოვებას პირველი ოთხი თვის სახელმწიფო გეგმის შესრულება.

ახლა ყველა ცვლა და ბრიგადა სათობს მაისის ფიცარიშია ძალეა.

◆

ტრესტ „ჭიათურმარგანეცის" კალინინის სახელობის მადაროში დიდი ხანია ტრადიციად დამკვიდრდა ახალი შრომითი მიღწევებით შეხვდნენ ღირსშესანშნავ თარიღებს; აი ახლაც აქ გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება, რათა ღირსეულად შეხვდნენ პირველ მაისს.

მადაროელები სხვა საჩუქარსაც უმზადებენ დედა-სამშობლოს: მათ გადაწყვეტეს შვიდწლიანი გეგმა შეასრულონ 18 ივლისისათვის — მეტალურგის დღისათვის.

ბევრი სახელოვანი მშრომელია კალინინის სახელობის მადაროში. აი, ორი მათგანიც — გამყვანი უ. ჯაფარიძე და მეგბიგე ო. ცერცვაძე. ისინი ერთ-ერთი პირველნი დადგნენ შრომითს ვახტზე და უკვე 20 აპრილისათვის შეასრულეს ვალდებულებანი, მისცეს სამშობლოს ასობით ტონა ზეგეგმითი მარგანეცი.

სურათზე: კალინინის სახელობის მადაროს მოწინავე ადამიანები უ. ჯაფარიძე (მარცხნივ) და ო. ცერცვაძე.

ფოტო ა. მაკავარიანისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

◆

ტრაქტორი მუჰამედ იუსუფი მოსკოვიდან გაემგზავრა

მოსკოვი. 28 აპრილი. (საკდესი). ავღანეთის პრემიერ-მინისტრი დოქტორი მუჰამედ იუსუფი, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება სსრ კავშირში, დღეს მოსკოვიდან ტაშკენტში გაემგზავრა.

ვნუკოვოს აეროდრომზე მუჰამედ იუსუფი და მისი თანმხლები პირნი გაეცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დ. ს. პოლიანსკიმ, სხვა სახელმწიფო მოღვაწეებმა, დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლებმა, დიპლომატებმა.

აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული, შესწულდა ავღანეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ტაშკენტი. 28 აპრილი. (საკდესი). დღეს ტაშკენტში ჩამოვიდა ავღანეთის პრემიერ-მინისტრი მუჰამედ იუსუფი.

უზბეკეთის დედაქალაქი გულთბილად შეხვდა საპატიო სტუმარსა და მის თანმხლებ პირებს.





როგორც უკვე ვიუწყებოდით, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 20 წლისთავის აღსანიშნავად მიმოქცევაში გამოშვებული იქნება საიუბილეო მონეტა ერთი მანეთის ღირებულებით.

* * *

სურათზე თქვენ ხედავთ საიუბილეო მონეტის წინა და უკანა მხარეებს.

რკინიგზელთა გამარჯვება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებმა ამერიკაკავკასიის რესპუბლიკების რკინიგზელთა დიდი პატრიოტული და შრომითი აღმავლობა გამოიწვიეს. მაგისტრალის კოლექტივმა, რომელიც საღღესასწაულო ვახტზე დგას, ვადამდე, 28 აპრილს შეასრულა ტვირთნიდვის ოთხი თვის გეგმა. გადამეტებით აირის შესრულებული ძირითადი ტვირთების — ნავთობის, მადნის, შავი ლითონების, ქიმიკატების, ქვანახშირის, მინერალური სასუქების გადაზიდვის სახელმწიფო დავალებანი.

ოთხი თვის დავალების შესრულება პირველებმა უპატაკეს სამტრედიის განყოფილების რკინიგზელებმა, რომლებმაც გეგმა 21 აპრილს შეასრულეს. გეგმის გადამეტებით სამტრედიელებმა დატვირთეს 200 ათას ტონაზე მეტი ტვირთი. მათ შემდეგ ოთხი თვის გეგმა შეასრულა თბილისის განყოფილების კოლექტივმა.

პირველი მაისის დღესასწაულს ამერიკაკავკასიის რკინიგზის კოლექტივი ხვდება ისე, რომ ანგარიშზე აქვს ოთხი თვის პროგრამის გადამეტებით გადატანილი 500 ათას ტონაზე მეტი ტვირთი. (საკდესი).

ევროპამ ნახა ვლადივოსტოკი

მოსკოვი, 27 აპრილი. (საკდესი). ერთ საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა დღეს უზეკეულო სატელევიზიო გადაცემა — ვლადივოსტოკის ტელეცენტრის პროგრამის პირველი პირდაპირი ტრანსლაცია თანამგზავრის „მოლნია-1" მეშვეობით ინტერვიზიისა და ევროვიზიის სისტემებით. ეს გადაცემა ნახეს ვარშავასა და ბერლინში, ბუდაპეშტში, ბუქარესტსა და სოფიაში, იტალიაში, ავსტრიაში, ბელგიაში, შვეიცარიაში, ნორვეგიასა და დანიაში.

ალჟირელი სტუმრები ვოლგოგრადში

ვოლგოგრადი, 28 აპრილი. (საკდესის კორ.). დღეს მოსკოვიდან ვოლგოგრადში ჩამოვიდნენ ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური, პარტია ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პოლიტბიუროს წევრი, ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და ეროვნული თავდაცვის მინისტრი ჰუარი ბუმედიენი და დელეგაციის წევრები.

სტუმრები ეცნობიან ვოლგის გმირი ქალაქის ცხოვრებას.

კანადელი კომუნისტები საბჭოთა კავშირში

1965 წლის 27 აპრილს საბჭოთა კავშირში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით ჩამოვიდა კანადის კომუნისტური პარტიის პარტიულ მუშაკთა დელეგაცია.

საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს კანადელი ამხანაგები ეწვევიან მთელ რიგ ქალაქებს, სამრეწველო საწარმოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, გაეცნობიან საბჭოთა ხალხის ცხოვრებასა და კომუნისტებს გაუზიარებენ პარტიული მუშაობის გამოცდილებას.

ხელოვნება, რომელსაც ადამიანებისათვის სიხარული მოაქვს

ლენინური პრემიები გადასცეს ხელოვნებისა და ჟურნალისტიკის მოღვაწეებს

მოსკოვი, 27 აპრილი. (საკდესის კორ.). დღეს კრემლის სვერდლოვის დარბაზში საზეიმო ვითარებაში გადასცეს დიპლომები და საპატიო ნიშნები ლენინური პრემიის ლაურეატთა ახალ თაობავარსკვლავედს. დიდხანს გრიალებდა ტაში, როცა პრეზიდიუმის მაგიდასთან მივიდნენ ი. ა. ზავადსკი, ნ. დ. მორდვინოვი, ლ. ბ. კოგანი, გ. მ. კოზინცევი, ი. მ. სმოკუნოვსკი, ს. ს. სმირნოვი, მ. ვ. კუპრიანოვი, პ. ნ. ქრილოვი და ნ. ა. სოკოლოვი (ტექსტისა).

ლაურეატები რომ დაასახელა, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ლენინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ს. ტიხონოვმა მოკლედ დაახასიათა ხელოვნებისა და ჟურნალისტიკის დარგის ახალი მიღწევების მნიშვნელობა.

— მხურვალედ მივესალმებით, — თქვა მან, — იმათ, ვინაც სიხარული მოაქვს ადამიანებისათვის, ვინც ყველა საბჭოთა ხალხის სიამაყეა.

შთამბეჭდავი იყო ლაურეატთა სიტყვები.

— ყველას ესმის, — თქვა ი. ა. ზავადსკიმ, რომ მაღალი ჯილდო გამოხატავს მუშობის შედეგს, გვაკისრებს ახალ ვალდებულებებს. მოსკოვის საბჭოს სახელობის თეატრის მთელი კოლექტივი ყოველ ღონეს იხმარს იმისათვის, რომ გამამართლოს მაღალი ჯილდო.

თუ რა ბედნიერებაა ქმნიდე ხალხის საკეთილდღეოდ, ამაზე ელაპარაკეს ლ. ბ. კოგანმა, გ. მ. კოზინცევმა, ნ. ა. სოკოლოვმა.

—სიამაყით ვატარებ ლენინური პრემიის ლაურეატის საპატიო ნიშანს, იგი მიმაჩნია არა მარტო ჩემს ჯილდოდ, არამედ ბრიგადის ციხე-სიმაგრის ყველა იმ გმირის ჯილდოდ, რომლებზეც მე დავწერე, ყველა საბჭოთა ადამიანის ჯილდოდ, რომლებიც მებმარებდნენ სამწერლო და ჟურნალისტურ მუშაობაში, — თქვა ს. ს. სმირნოვმა. მან დამსწრეთ წარუდგინა ბრესტის ერთ-ერთი დამცველი ალექსი რომანოვი, რომელიც დარბაზში იყო. აუდიტორია მხურვალედ მიესალმა გმირს.

ყველა ორატორმა მადლობა გადაუხადა ხალხს, პარტიასა და საბჭოთა მთავრობას მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის.

ლაურეატებს მიესალმნენ ქანონიერებისა ს. ა. გერასიმოვი, ქარხანა „სერპ ი მოლოტის" მუშა ა. მ. მირონოვი, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივანი ვ. ი. ჩერნიშევი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ე. ა. ფურცევა. მათ ლაურეატებს უსურვეს ჯანმრთელობა და ახალი შემოქმედებითი გამარჯვება.

პატაკები

თესვა დაამთავრეს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადწყვეტილებათა შესრულებისათვის ენერგიულად შრომობენ მცხეთის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები. მიუხედავად იმისა, რომ აპრილში ხელსაყრელი ამინდი არ იყო, რაიონის მხვნელ-მთესველებმა ყოველი კარგი დღე, საათი მაქსიმალურად გამოიყენეს და უკვე დაამთავრეს სამარცვლე სიმინდის თესვა გეგმით გათვალისწინებულ 1.005 ჰექტარზე.

საქართველოს კპ მცხეთის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. კაკოლიშვილმა; რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ბ. ლაშხმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ამხ. ბ. რაზმაძემ გვაცნობეს, რომ გეგმის გადამეტებით განგრძობენ სიმინდის თესვას. სულ რაიონში სიგანეფიფლო კულტურები დათესილია 2.780 ჰექტარზე მეტი. აქედან ქერი დათესილია 330 ჰექტარი ნაცვლად 295 ჰექტარისა. გადაჭარბებით შესრულდა პირუტყვის საკვები შაქრის ჭარხლის თესვის გეგმა; 16 ჰექტარის ნაცვლად დათესა 25 ჰექტარი კარტოფილი.

რაიონის მხვნელ-მთესველებმა გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე ერთწლიანი ბალახების თესვის დავალება. ეს კულტურა დათესილია 190 ჰექტარზე მეტი. მცხეთელები განაგრძობენ სასილოსე სიმინდის თესვას, დღემდე დათესილია 500 ჰექტარი.

ამ წარმატებებს რაიონის მშრომელები მიუძღვნიან პირველი მაისის დღესასწაულს.

ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია

ხაშური. („კომუნისტის" კორ.). ქვემხარეთის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ს. გელაშვილი) გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 125 ცენტნერი ხორცი ნაცვლად ნახევარი წლის გეგმით გათვალისწინებული 115 ცენტნერისა. პირველ მაისამდე სახელმწიფოსათვის რძე უნდა მიეყიდოთ 146 ტონა. აღნიშნული დავალება უკვე გაანაღდეს.

მოსკოვის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა 1965 წლის ოთხი თვის გეგმა

ქალაქ მოსკოვის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები ეჯიბრებიან ერთმანეთს, რათა ღირსეულად შეხვდნენ პირველ მაისს და 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 20 წლისთავს. 28 აპრილს მათ შეასრულეს მთლიანი პროდუქციისა და მეტი წილი დიდმნიშვნელოვანი ნაწარმის წარმოების 1965 წლის ოთხი თვის გეგმა.

თვის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვებენ ბევრ ფოლადს, ნაგლინს, ლითონსაჭრელ ჩარხს, გორვის საკისარს, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილებს, ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციებსა და დეტალებს, საოჯახო მაცივრებს, სარეცხ მანქანებს, ზედა ტრიკოტაჟს, ტრიკოტაჟის საცვლებს და წინდის ნაწარმს ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოების გამოყენებით, საკონდიტრო ნაწარმს.

მოსკოვის მრეწველობაში წარმოებს დიდი მუშაობა პროდუქციის ხარისხისა და საიმედოობის ამაღლებისათვის, აგრეთვე იმისათვის, რომ მიიღწიონ გეგმით ზარალიანი პროდუქციის წარმოების რენტაბელობას.

გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების ზრდის დადგენილი დავალება.

დიადი გამარჯვების აღსანიშნავად

პრეს-კონფერენცია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

მოსკოვი, 28 აპრილი. (საკდესი). სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრომ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირმა დღეს გამართეს პრეს-კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვების 20 წლისთავს.

პრეს-კონფერენციას, რომელიც გახსნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგემ ლ. მ. ზამიატინმა, ესწრებიან საბჭოთა და საზღვარგარეთელი ჟურნალისტები.

განცხადება გაკეთა საბჭოთა კავშირის მარშალმა ი. ს. კონევმა.

საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა, აღნიშნა მან, გადამწყვეტი დამარცხება აგვიყენ ჰიტლერელებს. მაგრამ გზა გამარჯვებისაკენ ძნელი იყო.

ჩვენი ხალხის ისტორიაში უმბავლეთო გმირობის შედეგად მოვლენები ფრონტზე სრულიად არ ვითარდებოდა ისე, როგორც ამას ჰიტლერელი გენერლები ფიქრობდნენ. საბჭოთა შეიარაღებული ძალების წარმატებით შეტევას, ხაზგასმით აღნიშნა მარშალმა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ფაშიზმზე გამარჯვებისათვის ევროპის ქვეყნებში.

ჰიტლერული გერმანიისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის ძირითადი სიმძიმე, თქვა შემდეგ ი. ს. კონევმა, თავის მხრებზე გადაიტანა საბჭოთა ხალხმა.

სწორედ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე განადგურდა ფაშისტური ბლოკის ქვეყნების სამხედროთა ჯარების ძირითადი მასა. სულ საბრძოლო მოქმედების მსვლელობაში საბჭოთა ჯარებმა გაანადგურეს და ტყვედ წაიყვანეს 507 გერმანელ-ფაშისტთა დივიზია და ჰიტლერული გერმანიის სატელიტების 100-მდე დივიზია. საბრძოლო მოქმედების დროს ჩრდილოეთ აფრიკაში, იტალიაში და დასავლეთ ევროპაში ინგლის-ამერიკის ჯარებმა გაანადგურეს მტრის 176 დივიზია. ცნობილია, რომ ომში გერმანიამ დაკარგა 13,6 მილიონი კაცი, აქედან სსრ კავშირის წინააღმდეგ ომში — 10 მილიონი.

მოყვანილი მონაცემები საუბარია, რომ ყოველმა ობიექტურმა კაცმა აღიარის ჰეშმარიტება: მეორე მსოფლიო ომის მთავარი ფრონტი იყო საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტი. ამასთანავე, დასძინა ი. ს. კონევმა, სრულიადაც არ ვცდილობთ შეეამციროთ ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნების სხვა ხალხთა მონაწილეობა ომში. საბჭოთა ადამიანები ღირსეულად აფასებენ იმ წვლილს, რომელიც მათ შეიტანეს მტერზე გამარჯვების საერთო საქმეში.

აღენიშნავთ რა ფაშიზმზე გამარჯვების მეოცე წლისთავს, განაცხადა მარშალმა კონევმა, ვადიდებთ გმირებს, რომლებმაც დაიცვეს ჩვენი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა და სხვა ქვეყნების ხალხებს დიდი დახმარება გაუწიეს ჰიტლერული ჩაგვრისაგან განთავისუფლებაში.

ამასთანავე, როგორც ფაქტები ცხადყოფს, დღეს, ფაშისტური გერმანიის განადგურების 20 წლის შემდეგ, ჩვენ კვლავ მოწმე ვართ იმისა, რომ იქმნება აგრესიის საშიში კერა ევროპაში. რამდენადმე შეცვლილი სახით ვხედავთ დასავლეთ გერმანიის მიმართ ინგლის-ამერიკის ბლოკის იმაჟე პოლიტიკას, რომელმაც მსოფლიოს თავს დაატეხა ომი ოცდაექვსი წლ

მსხვილობენ კომუნისტები...

ბრავალწლიანი ტექნიკური კულტურები თერჯოლის რაიონის ეკონომიკის საფუძველია, კოლმეურნეობათა ძლიერების განმტკიცების ძირითადი პირობა და მშრომელთა შეძლებულობის ამაღლების მთავარი წყაროა. ვენახის, ჩაის, დაფნის კულტურების განვითარება და მოსავლიანობის ზრდა თერჯოლელთა მთავარი საზრუნავია.

პარტიის რაიონულ კომიტეტში გადაწყდა, რომ პლენუმს ემსჯელა კოლმეურნეობებში მრავალწლიანი ნარგავების მოვლა-პატრონობისა და მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებებზე. პლენუმისათვის მასალების მომზადებაში მონაწილეობდნენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, საკოლმეურნეო შრომის ნოვატორები, პარტიული აქტივი. ყველაფერი გულდასმით შეიმუშავა, დაზუსტდა, და აი დაინიშნა პლენუმის დღეც.

ეს არ ჰგავდა პარტიის რაიონული კომიტეტის ზოგიერთ პლენუმს, როცა გაუბედავად და ფანტასტიკურად ლაპარაკობდნენ, ციფრებსა და ფაქტებს ალამაზებდნენ, ნაკლოვანებებსა და შეცდომებს ჩქმალავდნენ, როცა მოკამათეთა გამოსვლებს მაამებლობისა და ქება-დიდების განწყობილება ანრდა...

ამ პლენუმზე გულღიად და პირუთვნელად იმსჯელეს ნაკლოვანებებზე, მათს მიზეზებსა და გამოსწორების გზებზე. ღონისძიებებიც კარგი დასახეს.

პლენუმმა მოისმინა თერჯოლის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის ი. შუღლაძის მოხსენება. კამათში გამოვიდნენ სოფელ თერჯოლის კოლმეურნეობა „განთიადის" თავმჯდომარე კ. მურადაშვილი, სოფელ ჩხარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ო. არაბიძე, სოფელ თერჯოლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეთა მერგოლური გრ. ფორჩხიძე, სოფელ ზედა სიმონეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. სულამანიძე, „საქსოფლტექნიკის" თერჯოლის გაერთიანების მმართველი ვ. კოვზირიძე, სოფელ სიქთავრის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. რობაქიძე და სხვები.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კპ თერჯოლის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. ყიფიანმა.

როგორც პლენუმზე აღინიშნა, ბოლო წლებში გაშენდა ვენახის, დაფნის, ჩაის, თუთის ახალი ჰექტარები, მაგრამ საერთოდ რაიონში შეიწყნარებლად შემცირდა მრავალწლიანი კულტურების ფართობი. მოუვლელობით დაკნინდა და მწყობრიდან გამოვიდა ზვრები და პლანტაციები. ახლა თერჯოლის რაიონში 1.321 ჰექტარი საზოგადოებრივი ვენახებია. შემოწმებით დადგინდა, რომ აქედან თითქმის ნახევარი დაკნინებულია, ხოლო სუსტად განვითარებულია 174 ჰექტარი. ამ მხრივ უფრო ცუდად არის საქმე სოფლების ალისუბნის, ზედა სიმონეთის, ღვანკითის, თუზის, ეწრის კოლმეურნეობათა ზვრებში. ზოგან ალმაშფოთებელია მდგომარეობა. სოფელ ალისუბნის კოლმეურნეობას 1954 წელს 53 ჰექტარი ვენახი ჰქონდა. ოფიციალური ცნობებით მომდევნო ათ წელში აქ გაშენდა 62,5 ჰექტარი ახალი ვენახი. უბრალო არითმეტიკით გამოდის, რომ ალისუბანში ამჟამად 100 ჰექტარზე მეტი ზვარი უნდა ჰქონდეთ. მაგრამ სინამდვილეში 67,4 ჰექტარი აქვთ. დანაკლისი 48 ჰექტარს შეადგენს, თუ ყოველი ჰექტარი ვაზის მარტო გაშენების ხარჯებს ვიანგარიშებთ (და ვარაუდობენ, რომ ჰექტარი ვენახის გაშენება 900 მანეთი ჯდება), მაშინ ალისუბნელებმა 43.200 მანეთი იზარალეს, რომ აღარაფერი ვთქვათ მოსავლის მიუღებლობაზე.

ასეთივე ანგარიშით სოფელ რუფოთის კოლმეურნეობას აკლია 33 ჰექტარი ვენახი, სიქთავრის კოლმეურნეობას — 38 ჰექტარი, სოფელ თერჯოლის კოლმეურნეობა „განთიადს" — 26 ჰექტარი. ვენახების ფართობი ასევე შემცირებულია სოფლების ღვანკითის, ქვედა სიმონეთის, ნახშირღელის კოლმეურნეობებში. ასეთი სავალალო და დანაშაულებრივი მდგომარეობა გამოწვეულია ამ ძვირფასი კულტურის მოუვლელობით, აგროტექნიკის დაუცველობით, მეცნიერებისა და მოწინავეთა მიღწევების დაუნერგავობით. ვენახებში სრული ღონით არ შეაქვთ ორგანული და მინერალური სასუქები, არ გაჰყავთ სადრენაჟო არხები.

ნაკლებად ზრუნავენ ვენახებში სიმინჩხრის ლიკვიდაციისათვის. არასრული მონაცემებით რაიონის კოლმეურნეობებში სიმინჩხრე შეადგენს 300 ათას ძირ ვაზს, რაც 88 ჰექტარ ვენახს უდრის. საშუალო მოსავლიანობის დროს ეს 1.900 ცენტნერი ყურძენია.

მარტო 1962 წელს გაშენებული 103,7 ჰექტარი ვენახიდან გაცდენილია 51 ათასი ძირი. ამ მხრივ საგანგაშო მდგომარეობაა ალისუბნის, ეწრის, თუზის კოლმეურნეობებში.

პლენუმზე მთელი სიმკაცრითა და პირდაპირობით აღინიშნა, რომ 1963-1964 წლებში ვაზის გაშენების დავალება არ შესრულებულა. ბევრი არაფერი გაკეთებულა სიმინჩხრის ხალიკვიდაციოდ. მეტად დაბალი იყო ვენახების მოვლა-დამუშავების დონე. ამან განაპირობა ყურძნის მცირე მოსავლიანობა. საკმარისია ითქვას, რომ 1963 წელს რაიონში საშუალოდ ჰექტარზე მოსავლიანობამ მხოლოდ 26,8 ცენტნერი ყურძენი შეადგინა, როცა თერჯოლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ ჰექტარზე 53 ცენტნერი ყურძენი მიიღო, ხოლო ზედა საზანოს კოლმეურნეობა „წითელმა ოქტომბერმა" — 64 ცენტნერი. ეს იმას ნიშნავს, რომ კარგი მოვლა-პატრონობით შეიძლება ვენახის მოსავლიანობის მნიშვნელოვნად გაზრდა.

რაიონისათვის პერსპექტიულია ჩაის კულტურა, რომელსაც ამჟამად 400-მდე ჰექტარი უჭირავს. ჩაი კოლმეურნეობათა საერთო შემოსავლის 17 პროცენტს იძლევა, ხოლო ეწრისა და ზედა სიმონეთის კოლმეურნეობებში ჩაის კულტურით შემოსავალი 55 პროცენტს აღწევს.

მაგრამ პლენუმზე ისიც ითქვა, რომ, სამწუხაროდ, რაიონში 1958 წელთან შედარებით 37 ჰექტარით შემცირდა ჩაის ფართობი. სიქთავრის კოლმეურნეობამ დაკარგა 4 ჰექტარი ჩაი, ნაგარეთის კოლმეურნეობამ — 13 ჰექტარი. ქვედა სიმონეთისამ — 7,7 ჰექტარი. სულ რაიონში დაუმუშავებელი და დაკნინებულია 35 ჰექტარი ჩაის კულტურა და ამდენსავე ფართობზე სუსტად არის განვითარებული.

სოფელ ძევრის კოლმეურნეობაში სრულიად მოუვლელია 12 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, ნაგარეთის კოლმეურნეობაში — 3 ჰექტარი, ზედა სიმონეთში — 5,5 ჰექტარი. ჩაის კულტურას ცუდად უვლიან და დაბალ მოსავალს იღებენ სოფლების სიქთავრის, ჩხარის, რუფოთის კოლმეურნეობები.

საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები სუსტად იბრძვიან მრავალწლიანი კულტურების მოვლა-პატრონობის, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების, მეცნიერებისა და მოწინავეთა მიღწევების გავრცელება-დანერგვისათვის. მათ აკლიათ ბრძოლისუნარიანობა, პრინციპულობა, ურიგდებიან ნაკლოვანებებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა სოფლის მეურნეობის აღმავლობის გადაუდებელი ღონისძიებანი დასახა. შექმნილია ნორმალური, ნაყოფიერი მუშაობის პირობები. ეს კარგად აქვთ შეგნებული თერჯოლელ კომუნისტებს, ყველა მშრომელს. ამიტომ მათ პრაქტიკულად მოჰკიდეს საქმეს ხელი. ნაყოფს მომავალი გვიჩვენებს.

პ. ჭიოკაძე.
„კომუნისტის" საკ. კორ.

ვეკუთვნილი ცხოვრება

საერთაშორისო სესია დეკოში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრამ 21 აპრილს ხაშურის სალოკომოტივო დეპოში გამართა ვ. ი. ლენინის დაბადების 95 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სესია.

დიდი ბელადის მოღვაწეობის შესახებ საინტერესო საკითხებზე მოხსენებები წაიკითხეს დოცენტებმა მ. ჭელიძემ, ვ. კილაძემ, ვ. კალანდარიშვილმა და მ. ნემსაძემ.

სესიას 150-მდე მუშა, ინჟინერ-ტექნიკოსი და მოსამსახურე დესწრო.

დ. ფარეიშოვი.

ეთერში ისმის დიქტორის ხმა...

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ამის წინათ შეიქმნა და ნარაზენისა და ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობების მუშამოსამსახურეებს, აგრეთვე ნარაზენისა და აბასთუმნის მოსახლეობას საზოგადოებრივ საწყესებზე ნაყოფიერად ემსახურება გაერთიანებული რადიორედაქცია.

რადიოგადაცემები კვირაში ორჯერ იმართება.

ლექციები პროპაგანდისტებისათვის

ლენტეხი. (საკ. კორ.). აქ გაიმართა პროპაგანდისტთა რაიონული სემინარი. მსმენელებმა ინტერესით მოისმინეს ლექციები კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის ბრძოლისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თანამედროვე ეტაპების შესახებ.

ლექციები წაიკითხეს ა. კოპალიანმა, ი. ჩანქსელიანმა და ვ. ზურაბიანმა.

თემა — საღლეისო ამოცანები

საჩხერე. (საკ. კორ.). არგვეთის კულტურის სახლში და საზოგადოება „ცოდნის" სასოფლო ჯგუფმა გამართეს თეორიული კონფერენცია თემაზე — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებანი და სოფლის მეურნეობის მშრომელთა ამოცანები".

პარტიის საჩხერის რაიკომის განყოფილების გამგემ უ. ჩიკვილაძემ წაიკითხა მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებანი და აგიტატორთა ამოცანები". სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების საკითხებს მიუძღვნეს თავიანთი მოხსენებანი იტაკვაზნისა და მახათაურის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა მ. ბერიძემ და ვ. იაკობაშვილმა.

თეორიულ კონფერენციაზე გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, გამოცდილებათა გაზიარება.

რენტაბელობის გასაღები შრომაა!

ბრძოლა მეცენატობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები დიდ ყურადღებას აქცევენ მეცენატრეობისა და მეცხოველეობის დარგების შემდგომი განვითარების საქმეს. მეურნეობამ ჩამოყალიბებიდან შვიდი წლის თანმიმდევრობით ფორთობი 781 ჰექტარამდე გაზარდა. მათ შორის 316 ჰექტარი უკვე სრულმოსავლიანია. გარდა ამისა, გვაქვს 31 ჰექტარი ხეხილის ბაღი, 10,35 ჰექტარი ფილოქსერაგამძლე ვაზის სადედე, 2,5 ჰექტარი ნამყენი ვაზის სანერგე და 3 ჰექტარი დეკორაციული სანერგე. მეცხოველეობის საკვები ბაზით უზრუნველყოფის მიზნით 140 ჰექტარზე გვითესია სიმინდი, საკვები ჭარხალი და სხვ.

წლების განმავლობაში თითქმის სისტემატურად გადაჭარბებით სრულდებოდა ყურძნის, სიმინდის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმები. მხოლოდ შარშან, უამინდობის გამო, მოსავლიანობა დაბალი იყო. მეურნეობის ხელმძღვანელობამ პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად გასული წლის არასახარბიელო მდგომარეობიდან სერიოზული დასკვნები გააკეთა და საფუძველი ჩაუყარა მომდინარე წელს ვენახიდან და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან უხვი მოსავლის მიღების საქმეს.

781 ჰექტარ ვენახებში საშემოდგომო და საგაზაფხულო სამუშაოები წესების ზუსტად დაცვით, აგროვადებში შესრულდა. ვენახებში შეტანილია 850 ტონაზე მეტი ნაკელი, ხოლო მოსავლიან 316 ჰექტარ და არასრულმოსავლიან 60 ჰექტარ ვენახებში მინერალური სასუქები დოზების დაცვით შევიტანეთ.

სიმინჩხრის სალიკვიდაციოდ გასული წლის შემოდგომაზე და მომდინარე წლის დასაწყისში ერთწლიან და ორწლიან ვენახებში გამორგული 176.826 ცალი პირველი ხარისხის ნამყენი ვაზის ნერგი, ხოლო მსხმოიარე ვენახებში 155.000 ძირზე მეტი ვაზი ჩაწიდნულია მანჯავი.

ზრდის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები დიდ ყურადღებას აქცევენ მეცენატრეობისა და მეცხოველეობის დარგების შემდგომი განვითარების საქმეს. მეურნეობამ ჩამოყალიბებიდან შვიდი წლის თანმიმდევრობით ფორთობი 781 ჰექტარამდე გაზარდა. მათ შორის 316 ჰექტარი უკვე სრულმოსავლიანია. გარდა ამისა, გვაქვს 31 ჰექტარი ხეხილის ბაღი, 10,35 ჰექტარი ფილოქსერაგამძლე ვაზის სადედე, 2,5 ჰექტარი ნამყენი ვაზის სანერგე და 3 ჰექტარი დეკორაციული სანერგე. მეცხოველეობის საკვები ბაზით უზრუნველყოფის მიზნით 140 ჰექტარზე გვითესია სიმინდი, საკვები ჭარხალი და სხვ.

წლების განმავლობაში თითქმის სისტემატურად გადაჭარბებით სრულდებოდა ყურძნის, სიმინდის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმები. მხოლოდ შარშან, უამინდობის გამო, მოსავლიანობა დაბალი იყო. მეურნეობის ხელმძღვანელობამ პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად გასული წლის არასახარბიელო მდგომარეობიდან სერიოზული დასკვნები გააკეთა და საფუძველი ჩაუყარა მომდინარე წელს ვენახიდან და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან უხვი მოსავლის მიღების საქმეს.

781 ჰექტარ ვენახებში საშემოდგომო და საგაზაფხულო სამუშაოები წესების ზუსტად დაცვით, აგროვადებში შესრულდა. ვენახებში შეტანილია 850 ტონაზე მეტი ნაკელი, ხოლო მოსავლიან 316 ჰექტარ და არასრულმოსავლიან 60 ჰექტარ ვენახებში მინერალური სასუქები დოზების დაცვით შევიტანეთ.

სიმინჩხრის სალიკვიდაციოდ გასული წლის შემოდგომაზე და მომდინარე წლის დასაწყისში ერთწლიან და ორწლიან ვენახებში გამორგული 176.826 ცალი პირველი ხარისხის ნამყენი ვაზის ნერგი, ხოლო მსხმოიარე ვენახებში 155.000 ძირზე მეტი ვაზი ჩაწიდნულია მანჯავი.

ბაზაფხულის ამ შრომითი აღმავლობის დღეებში შრომის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. აგროუბნები და ბრიგადები, განყოფილებები იბრძვიან მაღალი მოსავლის მიღებისათვის. შეჯიბრებაში დაწინაურდნენ: პირველი განყოფილება (განყოფილების უფროსი გ. ძამსაშვილი), მესამე განყოფილება (განყოფილების უფროსი ა. კულულაშვილი), ხოლო მეოთხე აგროგანყოფილება იბრძვის კომუნისტური შრომის აგროგანყოფილების საპატიო სახელის მოპოვებისათვის.

სასახელოდ შრომობენ მევენახეობის ბრიგადები. მათ შორის აღსანიშნავია: კომუნისტური შრომის ბრიგადა (ბრიგადირი მ. მარჩილაშვილი), მესამე აგროგანყოფილების 12, და 13 და 15 ბრიგადები (ბრიგადირები ამონაშვილი, ზალაკლიანი და ძამსაშვილი). ამ ბრიგადებმა გადიდებული ვალდებულებები იკისრეს და ახლა მის განსაღდებლად ძალასა და გამოცდილებას არ იშურებენ. მათ ზამთრის და გაზაფხულის სამუშაოები აგროვადებში დაამთავრეს.

ჩვენმა მევენახეებმა კარგად იციან, რომ რენტაბელობის გასაღები პირველ რიგში შრომაა. მათ მთელი ძალით გააჩაღეს მუშაობა რენტაბელობისათვის, სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს მუკუზნის მევენახეობის საყრდენ-საჩვენებელი საბჭოთა მეურნეობის მევენახეები და პირობა დადეს წარმატებით შეასრულონ დამტკიცებული სახელმწიფო გეგმები და ყველა დარგი გადაიქცეონ რენტაბელურ დარგად.

ვ. მაყაშვილი,
გურჯაანის რაიონის შრომის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.



რესპუბლიკის კვების მრეწველობის საწარმოებს თბილისის ქარხნები დიდი წარმადობის თანამედროვე მანქანა-იარაღებს უგზავნიან. ახალი ტექნიკის დანერგვა ხელს უწყობს მწარმოებლებს აამაღლონ შრომის ნაყოფიერება, გაზარდონ პროდუქციის წარმოება. თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხანაში წარმოებს ყურძნის გადასამუშავებელი, საათში ოცი ტონის წარმადობის კარუსელური სისტემის ავტომატური ხაზის აწყობა, რომელიც დაიდგმება მუკუზნის ღვინის ქარხანაში.

* * *

სურათზე: ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის ზეინკალ-აწყობები ზ. აბრამიშვილი და ნ. შეუფლაძე მუშაობენ ყურძნის გადასამუშავებელი ახალი ავტომატური ხაზის აწყობაზე.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

შვიდწლედის ამოცანები

მისი ცხოვრების მისაბაძი გზა

ასეთია მოკლედ ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატის საძირის ამჭრელი საამქროს უფროსის რეზო რუხაძის შრომითი ბიოგრაფია:

პირტიტველი ბიჭი მოვიდა იგი ყომბინატში. მაშინ, 1948 წელს, საპირის გასაზადებელ საამქროში მოწაფედ რომ მიიღეს, მხოლოდ შვიდი კლასი ჰქონდა დამთავრებული.

— ნუ გეშინია, ბიძიკო, ცოდნა და გამოცდილება დაბადებიდან არავის დაჰყოლია. თუ მოინდომებ, ხელობას კი არა, ინჟინრობასაც ისწავლი. მე შენ გეტყვი, ჩემსაკით იმ შაბნელ დროში არ იყო დაბადებული, — კიდევაც გაამხნევა და კარგი მომავალიც ეწინასწარმეტყველა ახალბედას გამოცდილმა მეფეხსაცმელემ შალვა ნუცუბიძემ.

სწორედ ამ კაცმა, ახლაც ახალგაზრდული ენერგიით რომ მუშაობს კომბინატში, პროფესია შეაყვარა და შეასწავლა რეზო რუხაძეს.

კი ბიჭი კი დადგა... ბევრი გამიზრდია, მარა მაგისთანა მუყაითი და ზრდილობიანი ჯერ არ შემხვედრიაო, კანონიერი სიამაყით ამბობდა ოსტატი, როცა სულ რაღაც ექვსიოდე თვის შემდეგ მის მოწაფეს მაღალი თანრიგი მიაკუთვნეს.

ამ დროიდან მოკიდებული რეზო რუხაძემ ათ წელიწადს ისწავლა ისე, რომ დაზგა არ მიუტოვებია. ჯერ საღამოს საშუალო სკოლა, ხოლო შემდეგ პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა, ტყავის ნაკეთობათა ინჟინერ-ტექნოლოგის დიპლომი მიიღო.

მერე ერთხანს — თბილისში გაგზავნეს კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე.

მოსკოვშიც სწავლობდა... თუმცა ამჟერად ერთი წლის განმავლობაში წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მეცადინეობდა ინჟინერთა გადასამზადებელ კურსებზე.

ორივე ეს კურსები „ხუთიანზე" დამთავრა რეზო რუხაძემ.

და, რაც უფრო იძაღლებდა ცოდნასა და კვალიფიკაციას, მით უფრო გაბედულად აწინაურებდნენ ახალგაზრდა სპეციალისტს. ჯერ ოსტატი იყო, მერე ცვლის უფროსი. ამ სამი წლის წინათ კი საპირის ამჭრელი საამქროს უფროსობა მიანდეს.

თუ როგორ გაუძღვა იგი წარმოების ამ გადამწყვეტ უბანს, საკმარისია ითქვას, რომ საამქროს კოლექტივს მთელ კომბინატში ერთ-ერთ პირველს მიენიჭა კომუნისტური შრომის საპატიო სახელი.

ახლა, ამ უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე, რეზო რუხაძე საპირის ამჭრელი საამქროს უფროსად მუშაობს. უფრო სწორად, აქ ჩამორჩენილ უბანზე გადაიყვანეს. ეიმედებოდათ, საქმეს წინ წასწევსო.

იმ ხანად საამქრო გამართულად ვერ მუშაობდა. ინოვეიდან ტექნოლოგიური პროცესები. შემკერავი საამქროებიდან ზედიზედ მოდიოდა სამდურავი, პრეტენზიები. ვინ საპირის დეტალების შეფერხებით მიწოდებაზე ჩიოდა, ვინ კიდევ წუნზე.

საამქროს ახალმა უფროსმა მთელი საქმე ამ „ვიწრო ადგილების" გამოსწორებით დაიწყო. მისი ინიციატივითა და კომბინატის პარტბიუროს მხარდაჭერით ორივე ეს კურსები „ხუთიანზე" დამთავრა რეზო რუხაძემ.

ასეთი ადამიანები ეწინაურებიან ყველგან. ეს ამას ნიშნავს, რომ კარგი მოვლა-პატრონობით შეიძლება ვენახის მოსავლიანობის მნიშვნელოვნად გაზრდა.

ამ ბრძოლაში ეხმარებიან ინჟინერ-ტექნიკოსები, ოსტატები, ბრიგადირები, ბრიგადა „ოქტომბერი", ბრიგადა „ბოლშევიკი", ბრიგადა „ბოლოდ", ბრიგადა „ბოლოდ", ბრიგადა „ბოლოდ

საერთაშორისო ცხოვრება

მეხვედრები პარიზში

პარიზი, 28 აპრილი. (საკდესი). გუშინ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. კუვ დე მიურვილმა გამართა სადილი სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს პატივსაცემად. სადილზე იყვნენ სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში ვ. ა. ზორინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის პირველი განყოფილების გამგე ა. გ. კოვალიოვი, საფრანგეთის მინისტრები ლ. ფოქსი, უ. მაზოილი, ა. პერეიფიტი და სხვა ოფიციალური პირები.

სადილზე ა. ა. გრომიკომ და მ. კუვ დე მიურვილმა წარმოთქვეს სიტყვები.

თქვენი ვიზიტი, თქვა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ხელსაყრელი საბაბია იმის, რომ კონტაქტები განახლდეს ჩვენს ქვეყნებს შორის. მან საშუალება მოგცათ შეხვედროდით არა მარტო საგარეო საქმეთა მინისტრს, არამედ საფრანგეთის უმაღლეს ხელმძღვანელებსაც და გემსჯელთ ურთიერთ საინტერესო საკითხებზე, ესე იგი პრობლემებზე, რომელთა გადაჭრაზე დამოკიდებულია ომი და მშვიდობა. რა თქმა უნდა, თქვენც და ჩვენც ვითვალისწინებდით ამას ჩვენი პოზიციების განსაზღვრისას. ჩვენ გამოვიტანეთ აგრეთვე დასკვნები იმის შესახებ, თუ რა ინტერესს წარმოადგენს ასეთი აზრთა გაზიარება ან კონსულტაციები ჩვენს შორის.

ახლანდელ მსოფლიოში, სადაც ბევრი დიდმნიშვნელოვანი პრობლემა აი უკვე 20 წელია ერთგვარად გაყინულია, დიდ პროგრესად შეიძლება ჩავთვალოთ თუნდაც შერბილება და მოწესრიგება ურთიერთობისა ჩვენს ქვეყნებს შორის. ეს მით უფრო სწორია ევროპის კონტინენტისათვის, რომელიც ესოდენ ხშირად აოხრებულა, აგრეთვე საფრანგეთისა და რუსეთის ურთიერთობისათვის. ბუნებრივია, რომ ჩვენი ქვეყნები იძლევიან ურთიერთობის იმ გაუმჯობესების მაგალითს, რომელიც, შესაძლოა, იწყება და საშუალება უნდა მოგვცეს გამოვნახოთ რაღაც გზები, სადაც შეიძლება ერთმანეთს შეხვდნენ დასავლეთი და აღმოსავლეთი ევროპა. მინდა, რომ ჩვენს მაგალითს მიბაძონ სხვებმაც და რომ ამას მოჰყვეს მოწესრიგება, რომელიც უზრუნველყოფს მთელი ევროპის მშვიდობასა და უშიშროებას.

არასდროს არ დაგვიმალავს და არ ვმალავთ, თქვა ა. ა. გრომიკომ, რომ გვსურს განვავითაროთ ურთიერთობა საფრანგეთთან, და ეს სურვილი გუშინ ან დღეს როდი გაჩნდა. სასიამოვნოა, რომ ამ ბოლო დროს თბილმა სიომ დაბერა ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში. საბჭოთა ხალხსაც, ფრანგ ხალხსაც არ შეუძლიათ არ ესწრაფვოდნენ მშვიდობას, რომლითაც დიდად არიან ისინი დაინტერესებულნი. ამრიგად, ამ მხრივ ჩვენი სახელმწიფოების ინტერესები ემთხვევა ერთმანეთს. კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ეს დაადასტურა პრეზიდენტმა დე გოლმაც დღეგანდელი საუბრის დროს. რაც შეეხება ამ მიზნების მიღწევის საშუალებებს, საბჭოთა მთავრობის აზრით, ასეთი საშუალებები ბევრია. რა თქმა უნდა, ყველაფერი როდია დამოკიდებული საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირზე, მაგრამ მათზე ბევრი რამაა დამოკიდებული. ეს არის უწინარეს ყოვლისა ევროპის პრობლემები, რომლებიც შეეხება ევროპის უდიდეს კონტინენტურ სახელმწიფოებს — საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს. საბჭოთა მთავრობა მზად არის იმუშაოს ამ პრობლემების გადაჭრაზე სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებთან, მათ შორის საფრანგეთთან თანამშრომლობით.

ხალხები მოითხოვენ...

პრაღა. პირველი მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით სამხრეთ ვიეტნამის მშრომელებსა და ხალხთან სოლიდარობის საერთაშორისო პროფკავშირულმა კომიტეტმა მოუწოდა მსოფლიოს მშრომელებსა და პროფკავშირებს უფრო ენერგიულად მოითხოვონ: „ამერიკელო იმპერიალისტებო, წადითრიეთ ვიეტნამიდან!“.

ამერიკის აგრესია ვიეტნამში, ნათქვამია მოწოდებაში, აძლიერებს ახალი ომის წარმოშობის საფრთხეს, რომელიც ემუქრება არა მარტო ინდოჩინეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ხალხებს, არამედ მთელი მსოფლიოს მშრომელებსა და ხალხებს. კომიტეტი მოუწოდებს ყველა ღონისძიებით გააძლიერონ სოლიდარობა ვიეტნამის ხალხისადმი, რომელიც სამართლიან ბრძოლას აწარმოებს ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ, მოუწოდებს მოაწყონ ფართო კამპანიები, რათა მატერიალური დახმარება გაუწიონ ვიეტნამელ პატრიოტებს.

ჰანოი. „ჩვენ მოვუწოდებთ მეზღვაურებს, ტრანსპორტის მუშებსა და დოკერებს ბოიკოტი გამოაცხადონ და უარი თქვან სამხრეთ ვიეტნამში ამერიკული იარაღისა და სამხარი მასალის გადატვირთვასა და გადაზიდვაზე“, ნათქვამია ვიეტნამის პროფკავშირთა ფედერაციის სპეციალურ წერილში მთელი მსოფლიოს მშრომელებისადმი.

„ჩვენ მოვუწოდებთ მთელი მსოფლიოს მშრომელებს და განსაკუთრებით ამერიკელ მუშებს მოსთხოვონ შეერთებული შტატების მთავრობას, რომ ზუსტად დაიცვას ჟენევის 1954 წლის შეთანხმებანი ვიეტნამის საკითხზე, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა და საზღვარი ბლოკადა, გაიყვანოს სამხრეთ ვიეტნამიდან ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები და მთელი სამხედრო პერსონალი, პატივი სცეს ვიეტნამის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას“.

ლონდონი. ცნობილმა ინგლისელმა მებრძოლმა მშვიდობისათვის ლორდმა ბერტრან რასელმა დაგმო ამერიკის აგრესია ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ და მოითხოვა დაუყოვნებლივ და ულაპარაკოდ გაიყვანონ ამერიკის შეერთებული შტატების ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან. წერილში, რომელიც გაუგზავნა ვიეტნამის საკითხებზე საერთაშორისო სიმპოზიუმს ფლორენციაში, ბერტრან რასელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „შეერთებულ შტატებს აბსოლუტურად არა აქვთ უფლება იყვნენ ვიეტნამში. მათი ყოფნა ვიეტნამში ნიმუშია დაუფარავი იმპერიალისტური აგრესიისა, რომელიც ხორციელდება „თავისუფლებისათვის“ ბრძოლის დროშით.

სანამდე დაიფარებს ხელს ინგლისი ბარბაროსულ კოლონიურ ომს, რომელსაც შეერთებული შტატები ვიეტნამში აწარმოებენ, წერს მსხმელთა ეროვნული პროფკავშირის გენერალური მდივნის მოადგილე უილიამ ტომსონი სტატიაში, რომელიც დაიბეჭდა პროფკავშირის მიუელტენის მორიგ ნომერში. ტომსონმა დაგმო ამერიკის შეერთებული შტატები ინისათვის, რომ ისინი იყენებენ ფუგასურ და ნაპალმის ბომბებს, მომწამვლელ გაზებს მამაკაცების, ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგ „და თავგაწირულად ცდილობენ დაუმორჩილონ ისინი სამხრეთ ვიეტნამის მარიონეტული მთავრობის კონტროლს“.

ბოგოტა. კოლუმბიის მშრომელები შეშფოთებით ადევნებენ თვალყურს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის გაფართოებას ინდოჩინეთში. კოლუმბიის კომპანია „ფრონტინო გოლდ მაინსის“ მუშათა გავლენიანმა პროფკავშირმა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას გაუგზავნა წერილი, რომელშიც „სამარცხვინო ბომბზე აკრავს ამერიკის აგრესიას ვიეტნამში“.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა. კოლონიზატორთა უღლის მოშორების შემდეგ მრავალი ძირეული გარდაქმნა მოხდა ეგვიპტელი ხალხის ცხოვრებაში. ღატაკთა ქოხმახების ნაცვლად რესპუბლიკის ქალაქებში შენდება ახალი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები. პორტ-საიდის ერთ-ერთი ასეთი ახალი უბანია აღბეჭდილი ამ სურათზე.

შემაშფოთებელი ცნობები საიგონიდან

ნიუ-იორკი, 28 აპრილი. (საკდესი). როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი ლეგუტი 25 აპრილს საიგონიდან იუწყებოდა, ამერიკის ელჩმა ტეილორმა „სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფლებათან განიხილა“ ხუთი ათასი ამერიკელი ჯარისკაცის დამატებით გაგზავნის შესაძლებლობა. იუნაიტედ პრეს ინტერნაციონალის საგენტოს კორესპონდენტი მალო იმოწმებს სამხრეთ ვიეტნამის არმიის „მაღალი წოდების ოფიცრებს“ და საიგონიდან იუწყება, რომ ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის დამატებითი ნაწილების გადმოსხმა უახლოეს ორ-სამ დღეში მოხდება. თუმცა, ნათქვამია, მალოს დეპეშაში, ეს ხმები არ დაადასტურეს ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურმა პირებმა. ჰავანის კენძულებზე, ოკინავაზე და საიგონში არის „ახალი გადმოსხმისათვის მზადების არაოფიციალური ნიშნები“ გაზეთ „ნიუ-იორკ პოსტის“ კორესპონდენტი ფლისონი აგრეთვე იმოწმებს ხმებს, რომ მაისში, სამხრეთ ვიეტნამში მოსალოდნელია საზღვაო ქვეითი ჯარის ხუთი ათასი ჯარისკაცის გადასხმა.

საპროტესტო წერილი

ჰანოი, 28 აპრილი. (საკდესი). ნეო ლაო ხაკ სატის შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის წარმომადგენელმა ლაოსის სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიას საპროტესტო წერილი გაუგზავნა იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციამ არაერთგზის დაბომბა ლაოსის განთავისუფლებული რაიონები. ამას იტყობინება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც იმოწმებს რადიოსადგურს „პატეტ-ლაოს ხმას“.

ამ მეკობრული თავდასხმების შედეგად, ხაზგასმულია წერილში, დაიხოცა ბევრი ადგილობრივი მცხოვრები.

შეერთებულმა შტატებმა, ნათქვამია წერილში, დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტონ ეს დანაშაულებრივი მოქმედება და ზუსტად შესასრულონ ჟენევის შეთანხმებანი ლაოსის საკითხზე.

ჯონსონის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 28 აპრილი. (საკდესი). გუშინ თეთრ სახლში გაიმართა შეერთებული შტატების პრეზიდენტის ლინდონ ჯონსონის პრეს-კონფერენცია, რომლის ყურადღების ცენტრი იყო მდგომარეობა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

ამერიკის პრეზიდენტს არ წარმოუდგენია არავითარი ახალი კონსტრუქციული წინადადება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში წარმოშობილი კონფლიქტის მოსაწესრიგებლად. და აღნიშნა, შეერთებული შტატები არ აპირებენ შეცვალონ თავიანთი პოლიტიკა ვიეტნამშიო.

ჯონსონი ამართლებდა ამერიკის შეიარაღებულ ჩარევას სამხრეთ ვიეტნამში და ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციის თავდასხმებს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკის ტერიტორიაზე. მან გაიმეორა ამერიკის ოფიციალური პრეტენზიის მტკიცება, თითქოს ხდებოდეს „ჩრდილოეთის აგრესია სამხრეთ ვიეტნამის წინააღმდეგ“, რაც, პრეზიდენტის სიტყვით, „სფრთხეს უქმნის ამერიკის თავისუფლებას“. პრეზიდენტმა გაიმეორა თავისი წინანდელი განცხადება, რომ მზად არის აწარმოოს მოლაპარაკება ვიეტნამის შესახებ ყოველ ადგილას, ყოველ მთავრობასთან, ყოველ დროს და პირობების წამოუყენებლად, მაგრამ განაცხადა, რომ შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ ომი სამხრეთ ვიეტნამში და ვიეტნამის. დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე საჰაერო თავდასხმები განაგრძონ მანამდე, სანამ „არ შეწყდება აგრესია“.

„მე, — განაცხადა პრეზიდენტმა, — განვაგრძობ კურსს, რომელიც ამერიკელთ ვიჩენდნენ სიმტკიცეს და ენერგიულობას მზად ვიყოთ მშვიდობისათვის და უკან არ დავეხიოთ“.

პრეზიდენტ[illegible] ბას, რომ შეერთებულ[illegible] ტებმა ვიეტნამში გამ[illegible] ...] ...] ...

სტოიცევას ორი გმირი

ქალთა ორი კონტრასტული სახე — მიმისა და ლეონორასი პუჩინის და ვერდის ოპერებში „ბოჰემასა“ და „ტრუბადურში“ შესასრულა ჩვენი სოპერო თეატრის სცენაზე ჩვენთვის ახალმა ბულგარელმა მომღერალმა ეველინა სტოიცევამ. საერთაშორისო კონკურსების ლაურეატს, რუსენის სახალხო ოპერის წამყვან სოლისტს ეველინა სტოიცევას დიდი, ლამაზი, ტემბრით მდიდარი დრამატული სოპრანო აქვს. სხვადასხვაა ამ გმირების ეოკალური დახასიათებანი, სხვადასხვაა მათი ბედი და სცენური პორტრეტები, და თვითეული მათგანისათვის მომღერალი პოულობს დამახასიათებელ ღირსშესანიშნავ შტრიხებს, ტონებსა და ელფერს.

მიმის თითქოს სათუთი, კომპოზიტორის მიერ გამჭვირვალე აკვარელურ ტონებში შექმნილი პარტია გმირული ბგერადობის მომღერლის საშემსრულებლო ფარგლებს სცილდება. მაგრამ ხმის ფლობამ, პროფესიულმა ალღომ და ინტუიციამ უკარნახა მომღერალს შესაბამისი ინტერპრეტაციული ხერხები ულტრალირიკული სახის გადმოსაცემად. თავისი მკთელი, კომპაქტური ხმის ბგერადობის შემსუბუქებით, თბილი, გულნიჩამწყდომი ტონებით, ნათელი, შთაგონებული ლირიზმის მიღწევით გადმოგვცა მომღერალმა პარიზის ლათინურ კვარტალში მანსარდის მობინადრე ქალიშვილის სიყვარულისა და სიცოცხლის გულისამაჩუყებელი და სევდიანი ამბავი.

ვოკალურ და სცენურ გარდასახვას მიმართავს ე. სტოიცევა ლეონორას გმირული სახის ინტერპრეტაციაში. თავისი ხმისათვის ბგერადობის სრული თავისუფლების მიცემით მომღერალი ნამდვილად დრამატულ ეფექტს აღწევს. ეველინა სტოიცევამ, დიდი ლამაზი ხმის პატრონმა, სცენური ტემპერამენტით და სასიამოვნო საშემსრულებლო მანერით დაჯილდოებულმა მომღერალმა, შეავსო ჩვენი საოპერო თეატრის სცენაზე გამოსული თავის თანამემამულეთა სახელოვანი პლეადა.

მ. ბაძრაძე.

* * *

სურათზე: ეველინა სტოიცევა ლეონორას როლში (ჯ. ვერდი — „ტრუბადური“).

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

თეატრალური ქრონიკა

◆ ტყიბული. (საკ. კორ.). ნაყოფიერად მუშაობს აქაური სახალხო თეატრის კოლექტივი. ახლახან კულტურის სახლის სცენაზე მორიგ პრემიერად ნაჩვენები იქნა გ. ნახუცრიშვილისა და ბ. გამრეკელის კომედია „ნაცარქექია“ (რეჟისორი ვ. დეისაძე, მხატვარი ი. პეტრაიტისი, მუსიკალური მონტაჟი ნ. ვახტანგაძისა).

◆ ლანჩხუთი. (საკ. კორ.). სახალხო თეატრმა წარმოადგინა მ. ჯაფარიძის კომედია „მოტაცება მინდოდა“. სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის რეჟისორ ალ. ჯორბენაძეს, მხატვრობა — შ. კუნჭულიას.



სულ უფრო ფართოდ შლის მხრებს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი. ი თბილისის კიდევ ერთი ლამაზი უბანი მტკვრის მარცხენა სანაპიროზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ბედნიერი იყავ, ვახტანგ!

ერთგვარი შიშით ვწერ ამ ადამიანზე: იგი ერთ ყალბ ნოტასაც არ მაპატიებს. მთელი დღეები ველაპარაკებოდი, გულმოდგინედ ვუსმენდი, მაგრამ ბლოკნოტი არ გადამშლია, როგორც კი დავაპირებდი ბლოკნოტის ამოღებას, ის უეცრად დადუმდებოდა ან სულ სხვანაირად დაიწყებდა ლაპარაკს — არ უნდოდა, რომ არათავმდაბლად მიმეჩნია. მთელი ჩემი პროფესიული ყურნალისტური დაჟინება მოვიშველიე და მაინც ჩავწედი სულში. და თუმცა ბლოკნოტში ჩანაწერები ცოტაა, მაინც შთაბეჭდილებებით ვარ აღსავსე.

შემთხვევით როდი ვთქვი „ყალბი ნოტი“: ვახტანგ ქარსელაძე მუსიკოსის შვილია და თვითონაც მუსიკოსია. სკოლაში რომ სწავლობდა, ამავე დროს მუსიკალურ ტექნიკუმშიც მეცადინეობდა. მაგრამ, მუდამ გატაცებულმა და მგზნებარემ, ტექნიკუმი არ დამთავრა, გული ატკინა მასწავლებლებს, რომლებიც მისგან ბევრ რამეს მოელოდნენ, და თბილისის უნივერსიტეტის მათემატიკურ ფაკულტეტზე შევიდა.

ომმა მეხუთე კურსს მოსწყვიტა. ბრძოლებში შეუკავებელი იყო. ფაშისტების სისასტიკე და სულიერი გაპარტახებულობა მის სიძულვილს იწვევდა. ფრონტიდან მამას მოსწერა. და ვახტანგის წერილი, ფიქრებით აღსავსე, გამოაკრეს მარჯანიშვილის თეატრში, სადაც მამამისი ორკესტრში უკრავდა.

ვახტანგი ომიდან დაბრუნდა ექვსი ჭრილობით და იმის შეგნებით, რომ პირნათლად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე. და ამის შემდეგ მის ცხოვრებაში ჭადრაკი შემოიჭრა. შემოიჭრა ისე, როგორც ქარი შემოგლეჯს ხოლმე ფანჯარას და აჯახუნებს დარაბას. ვახტანგმა დიპლომი აღარ დაიცვა. მგზნებარემ და გატაცებულმა, მან თავის თავს არ უღალატა.

როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება რესპუბლიკაში ჭადრაკის განვითარების შესახებ, ვახტანგ ქარსელაძემ გადაწყვიტა, რომ სწორედ ამ საქმეში შეუძლია სარგებლობა მოიტანოს. ჭადრაკის ინსტრუქტორად დაიწყო მუშაობა საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტში. ბევრი რამის გაკეთება შეძლო, მაგრამ მაინც კმაყოფილი არ იყო. მას ესმოდა, რომ ქართველ მოჭადრაკეთა მხოლოდ ახალ თაობას შეუძლია მოიპოვოს ავტორიტეტი საკავშირო ასპარეზზე.

ვახტანგი ბავშვებთან ურთიერთობამ გაიტაცა. 1948 წელს მან თბილისის პიონერთა სასახლეში ჭადრაკის წრის ხელმძღვანელად დაიწყო მუშაობა. ეს ბედნიერი გადაწყვეტილება იყო, და არა იმდენად თვით ვახტანგისათვის, რამდენადაც მრავალი ნორჩი მოჭადრაკე ქალისა და ვაჟისათვის. იგი მათთვის გახდა არა მარტო ჭადრაკში დამრიგებელი, არამედ მამაც, უფროსი მეგობარიც, კაცი რომლისთვის მიბაძვასაც ცდილობდნენ. ცხოვრების დიდმა გამოცდილებამ, მაღალმა და მრავალმხრივმა კულტურამ, ინტელექტმა და იუმორის მუდმივმა გრძნობამ ყოველივე ამან ხელი შეუწყო მწვრთნელს მოეპოვებინა თავის აღსაზრდელთა არა მარტო პატივისცემა, არამედ მხურვალე სიყვარულიც.

არა, მწვრთნელის უნარი ერთბაშად როდი მოსულა. პირველ წლებში ვახტანგი ხშირად მხოლოდ ინტუიციას ენდობოდა. ცოდნა და გამოცდილება უფრო გვიან შეიძინა. მაგრამ მას ჰქონდა ის, ურომლისოდაც არ შეიძლება კარგი მწვრთნელი გახდე. ყველაფერში პატიოსანს, თავისი თავისა და სხვებისადმი მომთხოვნს, სულგრძელს, თავისი აღსაზრდელებისადმი ფანატიკურად ერთგულ ვახტანგ ქარსელაძეს შეეძლო გამოეძერწა თავისი აღსაზრდელები ისეთებად, როგორიც უნდოდა ეხილა ისინი.

მან საფუძვლიანად შეისწავლა პედაგოგიკა, ფსიქოლოგია, ღრმად შეიჭრა ბავშვის აზროვნების საიდუმლოებაში. და დადგა დრო, როცა მან რწმენა იგრძნო, თავი შეიცნო არა მარტო ჭადრაკის მცოდნედ, არამედ ბავშვის სულის მცოდნედაც.

ვახტანგ ქარსელაძე იმ დროს ოსტატობის ძლიერი კანდიდატი იყო, საპრიზო ადგილებს იკავებდა თბილისისა და საქართველოს ჩემპიონატებში. ერთ-ორი წლის „შემდეგ შეეძლო ოსტატი გამხდარიყო. მაგრამ ახლა, როცა იგი ასეთ კმაყოფილებას გრძნობდა ბავშვებთან ურთიერთობაში, თავისი პირადი წარმატებანი ნაკლებ მნიშვნელოვანი ეჩვენებოდა, და ქარსელაძემ უყოყმანოდ მიიღო გადაწყვეტილება მიეტოვებინა პრაქტიკული თამაში.



ახლა მას შეეძლო დილიდან გვიან საღამომდე ბავშვებისათვის მოეხმარებინა მთელი თავისი ძალღონე, თუ რომელიმე ტურნირი აღელვებდა, ეს მხოლოდ ის ტურნირები იყო, რომლებშიც მისი აღზრდილები მონაწილეობდნენ. და თუმცა ისინი სულ უკეთ და უკეთ თამაშობდნენ, არავინ არ ელოდა მათთვის მათ ხელმძღვანელზე უფრო მეტად.

გასული ათწლეულის დამდეგს პიონერთა სასახლის აღზრდილებმა მაღალი ადგილების დაკავება დაიწყეს თბილისის, ხოლო შემდეგ საქართველოს ჩემპიონატებში. ჯერ დაწინაურდა ლიანა ხაჭაპურიძე, ძალიან საინტერესო სტილის მოჭადრაკე, შემდეგ გამოჩნდნენ ნიკიერი ქალიშვილები მანანა ტოგონიძე და ელისო კაკაბაძე.

1953 წელს ხაჭაპურიძემ, რომელიც როსტოვში ჩვენი ქვეყნის ნორჩ მოჭადრაკეთა პირველობაში მონაწილეობდა, ათიდან 9,5 ქულა დააგროვა! ეს შედეგი სენსაციური იყო არა მარტო თავისთავად. პირველად მოხდა, რომ საქართველოს წარმომადგენელმა მოიპოვა გამარჯვება, და თანაც ასე დამაჯერებელი, სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში. ამ წარმატებამ დასაწყისი მისცა ახალ ერას ჩვენი ქვეყნის მოჭადრაკე ქალთა მოძრაობაში — ქართველ მოჭადრაკე ქალთა შეტევის ერას.

ერთი წლის შემდეგ კი ვახტანგის მოწაფეთა შორის გამოჩნდა პატარა ზუგდიდელი გოგონა... აქ არ მოგითხრობთ ნონა გაფრინდაშვილის საჭადრაკო გზის შესახებ — მას ყველა კარგად იცნობს, მაგრამ ვსარგებლობ შემთხვევით და მივდივარ ნონასა და ვალერიან ტოგონიძეებთან, ოთარ ტოგონიძეებთან, ალეკო ტოგონიძეებთან, ანზორ ტოგონიძეებთან, ბაბო ტოგონიძეებთან, ბაბა ტოგონიძეებთან, ბაბუა ტოგონიძეებთან, ბაბილინა ტოგონიძეებთან, ბაბილონ ტოგონიძეებთან, ბაბილონა ტოგონიძეებთან, ბაბილონია ტოგონიძეებთან, ბაბილონიერ ტოგონიძეებთან, ბაბილონისეულ ტოგონიძეებთან, ბაბილონელ ტოგონიძეებთან, ბაბილონელთა ტოგონიძეებთან, ბაბილონელთა ტოგონიძეებთან, ბაბილონელთა